საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

ირაკლი ფაღავას N6
0144 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:**1481(24/7)**
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: **info@ombudsman.ge**

06 თებ 2025 წ.

KA000008019799925

№ 25/1148

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტოს უფროსს
ქალბატონ ნინო ბაგაშვილს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

„საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა.ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული მანძილის გაზომვის მეთოდოლოგიის შემუშავების თაობაზე

მომზადებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ქალბატონო ნინო,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა [redacted] ს განცხადება,[1] რომელშიც განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილის შეფარდებისას, თქვენი უწყების თანამშრომლების მხრიდან არ ხორციელდება „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული მანძილის გაზომვა სპეციალური მეთოდოლოგიის ან სათანადო ხელსაწყოს მეშვეობით. შესაბამისად, ითხოვდა თქვენი უწყების თანამშრომლების მხრიდან მის მიმართ განხორციელებული ქმედებების კანონიერების საკითხის შესწავლას. მოცემული საქმის შესწავლისას გამოიკვეთა სისტემური პრობლემა, რაც გამოიხატება საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ა.ა” ქვეპუნქტით განსაზღვრული მანძილის გაზომვისას სათანადო ხელსაწყოს გამოუყენებლობაში ან/და შესაბამისი მეთოდოლოგიის არარსებობაში.

ფაქტობრივი გარემოებები

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს თანამშრომელმა 2024 წლის 12 ივნისს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ი მუხლის მე-8 ნაწილის საფუძველზე, [redacted] ს ბალანსზე არსებული ავტომანქანის [redacted] მიმართ, რომელსაც მართავდა [redacted] ი სეადგინა № ჰჯ743954 საჯარიმო ქვითარი. აღხიშნული ნორმა ითვალისწინებს სანქციას დგომა-გაჩერების წესებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნების დაუცველობისათვის. მოცემულ შემთხვევაში ოქმი შედგა ქვეითთა და ველოსიპედისტთა გადასასვლელებზე და მათ წინ 5 მეტრზე ახლოს სატრანსპორტო საშუალების გაჩერებისათვის.[2] განმცხადებელი განმარტავს, რომ მოცემული საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციულ ორგანოში

გასაჩივრებისას, თქვენი უწყების მიერ უტყუარად არ დადასტურდა, რომ მის მიერ გაჩერებულ სატრანსპორტო საშუალებასა და ქვეითთა გადასასვლელს შორის მანძილი 5 მეტრზე ნაკლები იყო.

საკითხის შესწავლის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია, კერძოდ ახსნა-განმარტება, თქვენი უწყების თანამშრომლების მხრიდან მსგავსი სამართალდარღვევის[3] აღმოჩენისას, რა მეთოდით/საშუალებებით იზომება მანძილი სატრანსპორტო საშუალებიდან ქვეითთა გადასასვლელამდე. ამასთან, მოვითხოვეთ განმარტება, ანალოგიური სამართალდარღვევისას გამოწერილი საჯარიმო ქვითრების გასაჩივრებისას, რა სახის მტკიცებულებით ადასტურებს თქვენი უწყება „დგომა-გაჩერების წესებით გათვალისწინებული მოთხოვნების"[4] (5 მეტრიანი მანძილის) დაუცველობას.

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, როდესაც ადგილი აქვს „საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ა.ა" ქვეპუნქტის მოთხოვნის დაუცველობას, უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გარემოებების გამორკვევა და შეფასება ხდება სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 234^1 მუხლის შესაბამისად. თუკი ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის საფუძველზე აშკარად იკვეთება, რომ სატრანსპორტო საშუალება ქვეითთა გადასასვლელის წინ 5 მეტრზე ახლოს არის გაჩერებული, ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შედგენაზე უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ რეაგირება ხორციელდება მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად. ამასთან, გვეცნობა, რომ 5 მეტრიანი მანძილის დაუცველობა დგინდება ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შევსებაზე უფლებამოსილი პირის ახსნა-განმარტებით ან/და სამართალდარღვევის ამსახველი ფოტომასალით. გარდა აღნიშნულისა, ყველა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ხორციელდება ყველა გარემოების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა, ხოლო შესაძლო სხვა ფაქტობრივი გარემოებები ფასდება სხვა დამატებითი მტკიცებულებებით.

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ ადამიანის ძირითად უფლებათა თავში შემავალი მე-18 მუხლით გარანტირებულია სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლება. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ყველას აქვს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მასთან დაკავშირებული საქმის გონივრულ ვადაში სამართლიანად განხილვის უფლება, რაც ადმინისტრაციულ საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისი მე-5 მუხლი აყალიბებს ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის კანონიერების პრინციპს, რაც გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოების კანონმდებლობის საფუძველზე შებოჭვას. აღნიშნული პრინციპის უგულებელყოფა იწვევს მმართველობითი ღონისძიების მართლწინააღმდეგობას. ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლი ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული წარმოებისას უწესებს ვალდებულებას მხოლოდ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევისა და ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

სამართალდამრღვევისთვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილის შეფარდების მიზნებისთვის შესაბამისი ნორმატიული აქტით[5] გათვალისწინებული 5 მეტრიანი მანძილის ზუსტი განსაზღვრა ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს. ვინაიდან, იმ შემთხვევაში თუ ეს მანძილი 5 მეტრზე მეტი აღმოჩნდება, აღარ იარსებებს აღნიშნული ნორმის შეფარდების და ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი. აღნიშნული მანძილის კონკრეტული მეთოდოლოგიის ან კონკრეტული ხელსაწყოს გარეშე გაზომვისა და ფიქსაციის შემთხვევაში, უტყუარად ვერ დადგინდება სადავო მანძილის სწორად გაზომვის ფაქტი და შესაბამისად, საამართალდარღვევის არსებობა. აღნიშნული ერთი მხრივ, სამართალდამრღვევად ცნობილ პირს უჩენს უსამართლობის განცდას, რომ სახდელის შეფარდებისას უფლებამოსილი პირის მხრიდან კანონით გათვალისწინებული მანძილი არასწორად/სუბიექტურად იქნა გაზომილი, ხოლო მეორე მხრივ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდანაც რთულდება საპირისპიროს მტკიცება.

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 23 ოქტომბრის № 5-2406 დადგენილებით ირკვევა, რომ სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 234^1 მუხლის შესაბამისად, მოხდა საქმის გარემოებების ადგილზე შესწავლა, შეფასება და სწორედ ამის შემდეგ იქნა შედგენილი №პ3743954 ელექტრონული საჯარიმო ქვითარი. აღნიშნული დგინდება ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შევსებაზე უფლებამოსილი პირის განმარტებით და სამართალდარღვევის ამსახველი ფოტომასალით. ამასთან, ამავე უწყების 2024 წლის 16 ოქტომბრის № 5-2406 დადგენილებაში სააგენტოს უფლებამოსილი პირი კანონით გათვალისწინებული 5 მეტრიანი შეზღუდვის გაზომვასთან დაკავშირებით გაკეთებული განმარტების თანახმად, „არანაირი სახელმძღვანელო დოკუმენტი ამ შემთხვევაში არ არსებობს."

მოცემული საქმის შესწავლისას გამოიკვეთა სისტემური პრობლემა, ვინაიდან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით დადგენილი სანქციის შეფარდებისთვის შესაბამისი სამართლებრივი ნორმით[6] გათვალისწინებული მანძილის ზუსტი გაზომვა და გასაჩივრების ეტაპზე აღნიშნულის უტყუარად დადასტურება მხოლოდ უფლებამოსილი პირის განმარტებით და ფოტოსურათით ფიზიკურად შეუძლებელია. ამდენად, მოცემულ საკითხზე შესაბამისი უტყუარი მტკიცებულების შექმნის და როგორც ადმინისტრაციული ორგანოს, ასევე სამართალდამრღვევის მხრიდან სხვაგვარი ინტერპრეტირების შესაძლებლობის თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია სატრანსპორტო საშუალებასა და ქვეითთა და ველოსიპედისტთა გადასასვლელს შორის მანძილის გასაზომად კონკრეტული ხელსაწყოს გამოყენება ან/და მეთოდოლოგიის შემუშავება, რაც თავის მხრივ გამორიცხავს ოქმის შემდგენელი პირის სუბიექტურ აღქმებსა და შეფასებებს.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ წინადადებით განიხილოთ „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ა.ა" ქვეპუნქტი გათვალისწინებული მანძილის გაზომვის კონკრეტული მეთოდოლოგიის შემუშავების საკითხი, იმგვარად, რომ გამოირიცხოს აღნიშნულ მანძილზე სხვადასხვაგვარი მოსაზრებისა და შეფასების არსებობის შესაძლებლობა. მოცემული წინადადების განხილვის შედეგების თაობაზე, გთხოვთ, მაცნობოთ **„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით** დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

---

[1] 2024 წლის 15 ნოემბრის №7198/2024 განცხადება.

[2] საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ა.ა" ქვეპუნქტი.

[3] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილი.

[4] საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ა.ა" ქვეპუნქტი.

[5] საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ა.ა" ქვეპუნქტი.

[6] „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ა.ა" ქვეპუნქტი.

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან იოსელიანი